# ტურისტული ბიზნესის განვითარების ბარიერები და მათი დაძლევის სტრატეგიები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

**მაგისტრანტი: ნარინე ზაქარიან**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე,*

*ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თეონა თავდიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

## განაცხადი

*"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის  ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისა. (19.06. 2025)".*

*ნარინე ზაქარიან*

19.06. 2025

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ბარიერების იდენტიფიცირებას, მათი დაძლევის გზების განსაზღვრასა და ტურისტული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევა ეფუძნებოდა Butler-ის ტურისტული ადგილის ცხოვრების ციკლის (TALC) თეორიულ მოდელს და განახორციელდა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მოიცავდა კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მეთოდოლოგიას.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ რეგიონი ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზეა და მის წინაშე დღენდე ბევრი ინფრასტრუქტურული, სოციო-კულტურული და ეკონომიკური ბარიერია. მუნიციპალიტეტში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების არასაკმარისი რაოდენობა, ინფრასტრუქტურული პრობლემები, მათ შორის გზებისა და კომუნალური სერვისების გაუმართაობა, აგრეთვე საინფორმაციო ხარვეზები, ზღუდავს ტურისტული სერვისების განვითარებას და ვიზიტორთა კმაყოფილებას. თუმცა, ამასთან ერთად გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის მაღალი მოტივაცია ტურისტულ საქმიანობაში ჩართვისა და ახალი ბიზნესების შექმნის შესახებ, რაც ზრდის სექტორის განვითარების პოტენციალს.

ნაშრომში პირველად იქნა გამოყოფილი ეთნიკური მრავალფეროვნების ორმაგი როლი რეგიონში – როგორც ტურისტული მიმზიდველობის ელემენტი და როგორც განვითარების ბარიერი. ასევე განხორციელდა „Before/After" და კროს-რეგიონალური შედარება, რითაც დასტურდება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის დადებითი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც ახალციხის რაბათის ციხის მაგალითზე ნათლად ჩანს.

კვლევის შედეგები ქმნის საფუძველს რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მიმართულების განსაზღვრისა და მდგრადი ტურისტული პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო

აგროტურიზმისა და კულინარიული ტურიზმის შესაძლებლობების გამოკვეთას, რაც ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ადგილობრივი პროდუქტის უნიკალურობაზე არის დაფუძნებული.

საბოლოოდ, ნაშრომში ხაზი გაესვა მრავალმხრივი, კოორდინირებული და ინკლუზიური პოლიტიკის აუცილებლობას. ადგილობრივი ხელისუფლები, თემის წევრების, ბიზნესისა და სახელმწიფო სტრუქტურების, ერთობლივ მუშაობა ხელს შეუწყობს ახალქალაქის ტურისტული პოტენციალის სრულ რეალიზებას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ტურიზმის განვითარება, ტურისტული ინფრასტრუქტურა.

Abstract

The research topic of this Master's thesis focuses on identifying barriers to tourism development in Akhaltsikhe Municipality, determining ways to overcome them, and developing recommendations for the effective utilization of its tourism potential. The research was based on Butler's Tourism Area Life Cycle (TALC) theoretical model and involved both quantitative and qualitative research methods.

The study confirmed that the region is in the initial stages of tourism development and continues to face numerous infrastructural, socio-cultural, and economic barriers. The insufficient number of accommodation and dining facilities, infrastructural problems including poor roads and communal services, as well as information gaps, significantly restrict the development of tourism services and visitor satisfaction in the municipality. However, the study also revealed a high motivation among the local population and businesses to engage in tourism activities and create new businesses, which increases the sector's development potential.

The thesis first highlighted the dual role of ethnic diversity in the region – as both an element of tourist attractiveness and a barrier to development. A "Before/After" and cross-regional comparison was also conducted, demonstrating the positive impact of cultural heritage rehabilitation on economic development, as clearly seen in the example of Akhaltsikhe's Rabati Castle.

The research findings provide a basis for determining the direction of necessary investments for tourism development and formulating a sustainable tourism policy in the region. Particular attention was paid to identifying the opportunities for agritourism and culinary tourism, which are based on the unique ethnic diversity and local products.

Ultimately, the thesis emphasizes the necessity of a multi-faceted, coordinated, and inclusive policy that brings together local government, community members, businesses, and state structures, which will contribute to the full realization of Akhaltsikhe's tourism potential.

Key Words: Akhalkalaki municipality, tourist infrastructure, tourism development.

## მადლობა

მადლობა კურსის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეონა თავდიშვილს, გაწეული დახმარებისთვის. ასევე მადლობა კვლევაში მონაწილე ყველა პირს, ადგილობრივებს, დარგის ექსპერტებს გაწეული დახმარებისთვის და მათი ცოდნის, დარგობრივი ექსპერტიზის გაზიარებისთვის.